ხელშეკრულება №018

ქ. თბილისი 16 სექტემბერი 2011 წ.

ერთის მხრივ, **შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 204568208, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №34) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **ლევან სანაძის** სახით (შემდგომში **„შემსყიდველი“**)
და
მეორეს მხრივ, **შპს „კია მოტორს ჯორჯია“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 236096675, იურიუდლი მისამართი: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №3300) წარმოდგენილი დირექტორის **ანრი კაპანაძის** სახით (შემდგომში **„მიმწოდებელი“**)

ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს მხარეთა შორის **1 (ერთი)** ერთეული კიას მარკის 2011 წლის შავი ფერის ავტომობილის **KIA-Sportage**-ის (შემდგომში – ავტომობილი) შესყიდვას და მასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს. (CPV კოდი: 34113000).
1.2. ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლები წარმოდგენილია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
1.3. ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი: KNAPC811DC7205059.

2. ავტომობილის გადაცემის წესი

2.1. ავტომობილის გადაცემის ადგილია: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-2 კმ.
2.2. ავტომობილის გადაცემა მოხდება არაუგვიანეს 2011 წლის 20 სექტემბრისა.
2.3. ავტომობილის გადაცემისას მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი პირები.
2.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ ადმინისტრაციული შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის – ტრანსპორტის ოფიცერი პავლე ქალიაშვილი.
2.5. ავტომობილის გადაცემასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ავტომობილის ტექნიკური საბუთები, ზუსტი აღწერილობით.
2.6. მიმწოდებლის განცხადებით ავტომობილს არ გააჩნია რაიმე სახის უფლებრივი და ნივთობრივი ნაკლი. ავტომობილს არ აქვს ისეთი დაფარული ნაკლი, რისი არსებობაც შეამცირებდა მის ღირებულებას, ან ხელს შეუშლიდა დანიშნულებისამებრ გამოყენებას.
2.7. ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში ავტომობილზე გავრცელდება საგარანტიო პირობები. ამასთან, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე შემსყიდველს უფლება აქვს თავისი შეხედულებებისამებრ დამატებით ჩაატაროს ავტომობილის ტექნიკური და გარეგნული მდგომარეობის შემოწმება (ინსპექტირება). გადაცემის შემდგომ თუ ავტომობილს აღმოაჩნდა ფარული ნაკლი (ქარხნული წუნი), მიმწოდებელი ვალდებულია, გამოასწოროს იგი საგარანტიო პირობების ფარგლებში, ხოლო თუკი ნაკლის გამოსწორება შეუძლებელი აღმოჩნდება - შეცვალოს ახლით, შემსყიდველის მოთხოვნიდან 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში.
2.8. ხელშერკულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ ადმინისტრაციული შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის – ტრანსპორტის ოფიცერი პავლე ქალიაშვილი. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.

3. ნასყიდობის საგნის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საგნის ჯამური ღირებულება შეადგენს **19 700 (ცხრამეტი ათას შვიდასი)** აშშ დოლარს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
3.2. ავტომობილი მიწოდების მომენტისათვის განბაჟებულია და თავისუფალია ყველა სხვა გადასახადისაგან. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შსს "მომსახურების სააგენტო"-ში შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, დაურეგისტრიროს საკუთრებაში მას ავტომობილი თავისი ხარჯებით (გარდა სპეცნომრებისა, რომლებიც სპეციალურ ტარიფებით გაიცემა).

3.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წარმოებს მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 7 (შვიდი) საბანკო დღის განმავლობაში.
3.4. ანგარიშსწორება ხორციელდება ქართულ ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ანგარიშსწორების დღეს დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.
3.5. შემსყიდველი არ იხდის იმ თანხებს, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით.

4.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
4.1.1. გადასცეს შემსყიდველს ავტომობილი და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია საკუთრების უფლებით, მოთხოვნისთანავე;
4.1.2. გადასცეს შემსყიდველს ავტომობილი უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში;
4.1.3. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
4.1.4. მოითხოვოს მყიდველისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება;

4.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:
4.2.1. მიიღოს საკუთრებაში ავტომობილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
4.2.2. გადაუხადოს მიმწოდებელს ავტომობილის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ოდენობით;
4.2.3. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება;
4.2.4. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულებები;

5. საგარანტიო პირობები

5.1. მხარეები თანხმდებინ, რომ საგარანტიო პირობები გამოიწრება, როგორც შემსყიდველზე, ისე შემსყიდველის მიერ მითითებულ კონკრეტულ პირზე.
5.2. მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველს საქარხნო გარანტიით შესყიდული ავტომობილის და აგრეგატების გამართულ მუშაობაზე მხარეების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) წლის ვადით, ულიმიტო გარბენის ლიმიტით. ამ პერიოდში მიმწოდებელი ქარხნული დეფექტების აღმოჩენის შემთხვევაში, თავისი ხარჯებით ახდენს ავტომობილის შეკეთებას და მისი სათადარიგო ნაწილების შეცვლას.
5.3. გარანტიის პირობები და ვადები განისაზღვრება საგარანტიო ტალონით, რომელიც გადაეცემა შემსყიდველს.
5.4. საგარანტიო პირობები შეთანხმებულია მხარეთა შორის, თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას დანართი №2-ის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, მეორე მხარისათვის მიყენებულ ზარალზე, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში (რაც შეტყობინების სახით ეგზავნება მეორე მხარეს), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.
6.3. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
6.4. ხელშეკრულებიდან ვადამდე გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის, თუ ეს უკანასკნელი გამოწვეულია სტიქიური

მოვლენებით, კატასტროფებით, სამხარი მოქმედებებით ან სხვა ფორს-მაჟორული მდგომარეობით, რომელიც წარმოიშვა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.
7.2. მხარე რომელიც დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ვალდებულია ამის შესახებ სამი დღის განმალობაში წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.
7.3. დაუძლეველი ძალის გარემოთა ერთ თვეზე მეტი ვადით არსებობისას, მხარეს, რომერლიც არ იმყოფებოდა ასეთი გარემოებათა მოქმედების ქვეშ, უფლება აქვს ერთპიროვნულად ბათილად სცნოს ხელშეკრულება და 10 დღის ვადაში წერილობითი ფორმით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

8. დავების განხილვა

8.1 მხარეთა შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა გადაწყტება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8.2 თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ განხორციელდა, მაშინ დავა განიხილება სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 16 სექტემბერს და მოქმედებს 2011 წლის 30 სექტემბრამდე ვადით.

10. სხვა პირობები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების გადასინჯვა და მასში რაიმე ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის წარმოშობილი ისეთი ურთიერთობები, რომლებიც არ არის მოწერიგებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
10.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა, ან მოქმედების შეწყვეტა არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.
10.4. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად და სამივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება მყიდველთან, ხოლო ერთი – გამყიდველთან.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია"
ს/კ 204568208
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი
ბ/კოდი: LBRT GE 22
ა/ა GE28 LB01 1312 1375 3560 03

გენ. დირექტორი

ლ. სანაძე

"მიმწოდებელი"

შპს „კია მოტორს ჯორჯია"
ს/კ 236096675
მის: ქ. მცხეთა, ალმაშენებლის ქ 3300,
მის: საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი
ბანკის კოდი: 220101850
ა/ა: 51136020100004

დირექტორი

ა. კაპანაძე

5 150 000 ₾ წლიანი გარანტია ★★★★★

NEW KIA SPORTAGE

KIA MOTORS
The Power to Surprise™

ძრავი/ Engine	2.0 DOHC CVVT/ 166 hp V4 / 16 v
კოლოფი / Gearbox	6 საფ ავტომატური/ 6-Speed automatic
სიგრძე (მმ) / Length (mm)	4 440
სიგანე (მმ) / Length (mm)	1 855
სიმაღლე (მმ) / Height (mm)	1 635
საშ წვა / ave consumption (L per 100 km)	9.7
ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი	KNAPC811DC7205059

აღჭურვა / EQUIPMENT

- დაკიდება წინ - McPherson type w/ coil spring & Gas Shock Absorber უკან - Multi link w/კომფორტული დაკიდება
- საწვავის ავზი 55 ლ
- ალუმინის დისკები 17' (225/60 საბურავები) სათადარიგო საბურავი ალუმინის დისკით
- უკანა კომბინირებული ფარები დიოდური ტიპის
- საჭის ჰიდროგამაძლიერებელი
- ნაჭრის სალონი
- 2 აირბაგი წინ
- რადიო+CD+MP3 6 დინამიკით USB+AUX
- ელექტრო მინები წინ და უკან
- მოქრომული კარის სახელურები
- გარეთა სარკეები ელ კეცვადი და თბობადი
- სანისლე ფარები
- ტყავის საჭე და სიჩქარის გადამრთველი
- ტვირთის საფარი საბარგულში
- წელის საყრდენის რეგულირება მძღოლის სავარძლისთვის
- მულტიფუნქციური საჭე რადიოსისტემის რეგულირებით
- დისტანციური ჩაკეტვის სისტემა
- გატაცების საწინააღმდეგო სისტემა + ესკორტული ფარები
- პარკინგ სენსორები უკან
- ბორტკომპიუტერი
- უკანა სპოილერი
- რელინგები სახურავზე
- გამაგრილებელი ბოქსი
- აქტიური თავის მისაყრდენები
- იმობილაიზერი
- კლიმატკონტროლი
- სარკეებში ინტეგრირებული მომხვევის მაჩვენებლები
- დიოდური ტიპის წინა მაშუქები
- ESP ABS (მოცურების საწინააღმდეგო სისტემა) დაღმართზე დაშვებისა და ასვლის დამხმარე სისტემები

- Suspension Front McPherson type w/ coil spring & Gas Shock Absorber Rear Multi link w/ Gas Shock Absorber/High performance damper
- Fuel tank 55 L
- 17 Alloy Wheel (225/60 Tire) Alloy Fullsize Wheel
- Rear Combination Lamps (LED Look)
- Hydraulic Power
- Seat Upholstery Cloth
- Two front airbags
- Radio+CD+MP3 6 Speakers USB+AUX
- Front & Rear Power Window
- Outside Handle Body Color
- Chrome Belt Line Molding
- Radiator Grill Chrome Coated
- Outside Mirror Electric foldable heated (Body Color)
- Fog Lamp - Front (MFR Type)
- TGS Knob Trim Leather Wrapping
- Steering Wheel Leather Wrapping
- Laggage area Cargo Screen
- Sunvisor Illumination & Extension
- Lumbar Support (Driver)
- Steering Wheel Remote Control of radio
- Keyless Entry w/ Burglar Alarm, Escort Headlamp
- Back Warning Sensor
- Trip Computer
- Rear Spoiler
- Roof rails
- Cool box
- Active head restraints
- Immobilizer
- Conditioner Climatcontrol
- Side repeater LED lamps in mirrors
- LED type headlamps
- ESP ABS

KIA MOTORS GEORGIA

19 700 აშშ დოლარის ეძვირადღირებული ერთეული ფასად

1 ერთეული, ფერი - შავი

მის: თბილისი, ალმაშენებლის ხეივანი №–2 ა/მ ტელ: 24 01 01 web: www.kiamotors.ge e-mail: info@kiamotors.ge